

**„2021 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N828 დადგენილებაში ცვლილების თანახმად განსაზღვრულია მოთხოვნები იმ სამედიცინო დაწესებულებების მიმართ, რომლებიც უნდა შესაძლოა გახდნენ კოვიდ 19 საწინააღმდეგო ვაქცინაციის მიმწოდებლები ულტრა ცივი ჯაჭვის პირობებში შესანახი ვაქცინებისთვის**

იმ ვაქცინისათვის, რომელიც მოითხოვს  $-70/-80^{\circ}\text{C}$  ტემპერატურის პირობებში შენახვას, ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრის მომსახურების მიმწოდებლებად რეგისტრაციისთვის, სამედიცინო დაწესებულება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ე.ა) სამედიცინო დაწესებულება უნდა იყოს განთავსებული ქ. თბილისში, ქ. ქუთაისსა და ქ. ბათუმში;

ე.ბ) „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილების მიხედვით, ფლობდეს სტაციონარული დაწესებულების ნებართვას და დანართს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (EMERGENCY) მომსახურებაში;

ე.გ) „მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 ნოემბრის №359 დადგენილების საფუძველზე, რეგულირების სააგენტოში ჰქონდეს გაკეთებული შეტყობინება იმუნიზაციის წარმოებაზე;

ე.დ) ქ. თბილისში განთავსებულ სამედიცინო დაწესებულებას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა დააკომპლექტოს სულ მცირე 3 ამცრელი ბრიგადა, ხოლო ქ. ქუთაისსა და ქ. ბათუმში განთავსებულ სამედიცინო დაწესებულებას - 2-2 ბრიგადა მასთან მიმართული ასაცრელი კონტინგენტის ერთი დოზით მოსაცვლად არა უმეტეს 15 კალენდარული დღის განმავლობაში, ვაქცინის ინსტრუქციით დადგენილი ინტერვალის გათვალისწინებით პირველი და მეორე დოზების მიწოდება;

ე.ე) სამედიცინო დაწესებულებაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათადარიგო ბრიგადების არსებობა, საჭიროების შემთხვევაში ძირითად ბრიგადაში ჩართული პერსონალის სრულად ჩასანაცვლებლად;

ე.ვ) სამედიცინო დაწესებულებას უნდა გააჩნდეს იზოლირებული შესასვლელი ვაქცინაციაზე მისული პირებისათვის და ერთდროულად მინიმუმ 10 ვაქცინირებული პირის მოსაცდელი სივრცე აცრის შემდგომი დაკვირვებისთვის;

ე.ზ) სამედიცინო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ასაცრელი სამიზნე კონტინგენტის წინასწარი აღრიცხვა მათ მობილიზაციაზე პასუხისმგებელი სამსახურებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე და განახორციელოს აცრების წინასწარი დაგეგმვა;

ე.თ) სამედიცინო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პირველ დოზაზე აცრილი პირების მეორე დოზით რევაქცინაციის მიზნით, შესაბამისი კონტინგენტის მობილიზაცია;

ე.ი) დაცული უნდა იყოს ინფექციის კონტროლის პირობების მოთხოვნები, რიგების მართვის, მოსაცდელი და აცრის სივრცეების მოწყობასთან მიმართებით;

ე.კ) უზრუნველყოფილი უნდა იყოს აცრების წარმოება უქმე და დასვენების დღეების გარეშე.

ვ) ამ დადგენილებით და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ პირობებთან სამედიცინო დაწესებულების შესაბამისობას განსაზღვრავს რეგულირების სააგენტო;

ზ) სამედიცინო დაწესებულების მიერ პროგრამაში მონაწილეობის მიღების მიზნით შევსებული განაცხადის ფორმა და რეგულირების სააგენტოს მიერ მომზადებული შესაბამისობის დასკვნა, წარმოადგენს სამედიცინო დაწესებულების ვაუჩერული პროგრამის მიმწოდებლად რეგისტრაციის ერთადერთ პირობას.“.